სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 მ. 50 კ.	— 2 —

პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისის „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 25. სამშაბათი. I. 20 აგვისტოს 1868 წ.

შინაარსი: სამღრთო ისტორია.—ს. ხაშმი.—კართოფილის ისტორია.—შაქრის ნეკერჩხლის ტყეები ამერიკაში.—სხვა და სხვა ამბები.—არითმეტიკა.—

განცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შემოუტანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის" ფასი, მალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ე ქ ვ ს ი მანეთია.

სამღრთო ისტორია.

15. ი ა კ ო ბ ი ს მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა.

როდესაც იაკობი ეთხოვებოდა თავის მამას, მაშინ მამამ უბძანა იმას, რომ ქანანეველი ქალი არ შეერთო ცოლად, არამედ წასულიყო მესოპოტამიაში და ლაბანის ერთ-ერთი ქალი ეთხოვნა. იაკობი გაუდგა გზას მარტოდ-მარტო, ერთი ყავარჯნით, და მხოლოდ უფალზედ ჰქონდა გულში სასოება. მთელი დღის სიარულით დაიღალა ძალიან, და რომ დაღამდა—დაიდო თავით ქვა და დაწვა მინდორზედ. სიზმარში ნახა იმან კიბე, რომელსაც ძირი მიწაზედ ედგა და თავი კი ცაში მიებჯინა, და ამ კიბეზედ ანგელოზნი ღვთისანი ადიოდნენ და ჩადიოდნენ. კიბეს ზევით იჯდა უფალი და ამბობდა: „მე ვარ უფალი ღმერთი აბრაამისა და ისააკისა; ნუ გეშინის! ქვეყანასა მაგას, რომელსა ზედა შენ სწევხარ, მოგცემ შენ და ძეთა შენთა, რომელნი გამრავლდებიან ვითარცა ზღვის ქვიშანი, და კურთხეულ იქმნებიან შენით და ძისა მიერ შენისა ყოველნი კაცნი ქვეყნისანი. მეცა მარადის შენთანა ვიქნები და არა დაგიტევებ შენ." როცა ეამოელვიძა, იაკობმა სთქვა: „უეჭველად აქ არის სახლი ღვთისა და ბჭენი ზეცისანი". და, ადგა რა, დაასხა ქვაზედ ზელსაცხებელი და დასდვა აღთქმა, რომ უკან დაბრუნების უმალ აეშენებინა ამ ალაგას უფლისთვის სამსხვერპლო. ხოლო ამ ადგილს სახელად უწოდა ბ ე თ ე ლ ი, რომელიც თარგმნით არის—ს ა ხ ლ ი ღ ვ თ ი ს ა.

ამას შემდეგ გააგრძელა გზა და ბოლოს მივიდა ქარრანს, თავის ბიძა ლაბანთან. როგორც ერთხელ აბრაამის მონამ ნახა აუზთან რებეკა, ისე ეხლა ამან ნახა რაქელი, რომელსაც წყლის დასალევინებლად მოეყვანა აუზთან თავის მამის ცხვრები. ლაბანმა რომ გაიგო იაკობის მოსვლა, გამოეგება და დიდი სიხარულით მიიღო ის თავის სახლში. იაკობმა პირველი ნახვითვე შეიყვარა რაქელი და აღუთქვა თავის ბიძას შვიდი წლის სამსახური, იმ პირობით, რომ იმას მიეთხოვებინა იმისთვის თავის უმცროსი ქალი. ლაბანი დაჰთანხმდა ამაზედ; მაგრამ როდესაც პირობის აღსრულების დრო მოვიდა, ლაბანმა რაქელის მაგიერად მიათხოვა იმას თავის უფროსი ქალი—ლია და დასამშვიდებლად უთხრა: „რაქელსაც მოგათხოვებ, თუ კი შვიდ წელიწადსაც სხვას მემსახურები მე". იაკობი ამაზედაც დაჰთანხმდა და შვიდ წელიწადს შემდეგ რაქელიც შეირთო. ამ ცოლებისაგან იმას ეყოლა თორმეტი შვილი, რომელნიც შემდეგში ისრაელთ თორმეტი მუხლის მამამთავარნი გახდნენ. ამათი სახელები იყო: რუბენ, შმაონ (სიმეონ), ლები, იუდა, დან, ნევთალიმე, გად, ასერ, ისსაქარ, ზაბულონ, იოსებ და ბენიამენ.

ვადა რომ შეუსრულა იაკობმა, თოთხმეტი წელიწადი, ამას შემდეგ კიდევ ექვსი წელიწადი დაჰყო თავის სიმამრთან. ამ ხნის განმავლობაში უფალმა დააჯილდოვა იაკობი მრავალი სიმდიდრით, რომელი შესდგებოდა მონებისაგან, აქლემებისაგანა და სხვა საქონლისაგან, ასე რომ თვით ლაბანი შურით უყურებდა თავის სიძეს. ეს რომ შეატყო იაკობმა—შეწუხდა ძალიან. მაშინ ღმერთმა უთხრა იმას: „ახლა კი დაბრუნდი მამის შენის ქვეყანაში; მეცა ვიქმნები შენთანა!" იაკობი იყო ღვთის ნების აღმსრულებელი; ამისთვის მოუწოდა თავის ცოლებს და გამოუცხადა, რომ ნებისამებრ ღვთისა უნდა იქიდგან წასულიყვნენ. როდესაც ლია და რაქელი თანახმანი გაუხდნენ იმას, მაშინ იმან მოაგროვა თავის შვილები და მსახურები, აჰკიდა აქლემებს თავის ქონება, წინ გაიძღოლა თავის საქონლის ჯოგები და გაუდგა გზას მთელი თავის სახლობითურთ. სამღლემდის არ

იცოდა ლაბანმა იაკობის წასვლა და რაკი შეიტყო, მსწრაფლ გამოუდგა უკან. გზაზედ ღმერთი გამოეცხადა ლაბანს სიზმარში და უთხრა: „ერიდე იაკობის წყენას". ამის გამო ლაბანი დამშვიდდა, გალაადის მთაზედ შეურიგდა იაკობს და მერე მშვიდობიანად გაეყარა მას.

იაკობს ესაბისა ეშინოდა და ამის გამო წინდაწინ გაუგზავნა იმას ელჩი და თავის დაბრუნება შეატყობინა. ესაბმა რომ ეს შეიტყო, თავის ფეხით გაეგება თავის ძმას ოთხასი მხლებელითურთ. იაკობს შეეშინდა ამისი და ამის გამო ორ წილად გაყო თავის ფარები, იმ აზრით, რომ თუ ერთს აიკლებდა ესაბი, მეორე მაინც დარჩებოდა იმას უვნებელად. ამასთანავე შესთხოვა ღმერთს: „ღმერთო მამათა ჩემთაო! მე ფრიად უღირსი ვარ წყალობისა და სიმართლისა შენისა, რომელიც მომავლინე უკვე მე; მე არა მქონდა-რა, გარდა ამა ყავარჯნისა, როდესაც გამოველ იორდანეს; ახლა კი გავმრავლდი ორ რაზმად. დამიფარე მე ხელთაგან ძმისა ჩემისა, ესაბისა, ვინაიდგან თვით მითხარი მე: არ დაგიტევებო!" ამას შემდეგ იმან აარჩია თავის ფარიდგან საქონელი, შეაერთა რამდენიმე ფარად და გაუგზავნა ესაბს; ამასთანავე მონათ დააბარა, რომ ასრე ეთქვათ: „ამას გიგზავნის მონა შენი იაკობი,—უფალსა თვისსა ესაბს". შემდეგ გადაიყვანა თავისი სახლობა და ფარები ერთ პატარა წყალს გაღმა და თითონ კი მარტოკა დარჩა.

ამ ღამეს იმას ცისკრებამდის ვიღაცა ეჭიდებოდა. გათენება რომ დაიწყო, უთხრა იმას უცნობმა პირმა: „გამიშვი წავიდე, თორემ თენდება!"—„არ გაგიშვებ—ეუბნებოდა იაკობი,—ვიდრე არ მაკურთხებ!" მაშინ უცნობმა მებრძოლმა უთხრა: „ამიერიდგან სახელი შენი იქნება ი ს რ ა ე ლ ი (ესე იგი ღმერთთან მებრძოლი), და არა იაკობი, ვინაიდგან ღმერთთან მოჭიდავეს—კაცნი ველარას გავნებენ!" შემდეგ აკურთხა იაკობი და გაქრა სადღაც.

როდესაც იაკობმა ნახა თავის ძმა ესაბი, რომელიც გზაზედ მოეგება იმას, თაყვანი სცა შვიდჯერ მიწამდის. ესაბი მოეხვია იმას ყელზედ და დაუწყო კოცნა; დიდხანს იყვნენ ორნივე ძმანი ერთად მოხვეულნი და სიხარულის ცრემლებსა ჰღვრიდნენ. ბოლოს მშვიდობიანად გაიყარნენ; ესაბი თავისთვის წავიდა და იაკობიც გაემგზავრა თავის მამასთან ქანაანის მიწისკენ.

16. იოსები და იმისი ძმები.

იაკობს მესოპოტამიაში თერთმეტი შვილი დაებადა; ყველაზე უმცროსი რაქელის ნაშობი იყო და ერქვა იოსები; სულ ბოლოს დაებადა მეთორმეტე შვილი—ბენიამენი, აგრეთვე რაქელისაგან. იაკობს ყველა შვილებზედ უფრო იოსები უყვარდა და ამის გამო ძმებმა მოიძულეს ის. ერთხელ იოსებმა სიზმარში ნახა, ვითომც ისა და იმის ძმები მინდორში ერთად ძნებსა ჰკრავდნენ და ვითომ იმისი ძმებისაგან შეკრული ძნები იმის შეკრულ ძნას უკრავდნენ თავს. როდესაც ეს სიზმარი იმან თავის ძმებს უამბო, მაშინ უფრო მოიძულეს ის ძმებმა. რამდენიმე ხნის შემდეგ იაკობმა კიდევ სხვა სიზმარი ნახა, რომელიც პირველ სიზმარს მიემსგავსებოდა. მეორეთ ნახა, ვითომც მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი თავს უკრავდნენ იმას. იოსებმა რომ უამბო ეს თავის სახლობას, თვით იაკობმა დაუწყო იმას ჯავრობა და ეუბნებოდა: „ეგ სადაური სიზმარია?! ნუ თუ მეც, ჩემი ცოლიც და შვილებიც როდისმე უნდა მოვიდეთ შენთან და თაყვანი გცეთ შენ!" მაინც იაკობს უყურადღებოდ არ გაუშვია ეს იოსების სიზმრები; ძმებმა კი ამ დროდგან სრულებით მოიძულეს ის.

ერთხელ იაკობის უფროსი შვილები თავიანთ საცხოვრებელი ალაგიდგან რამდენიმე დღის სავალზე მწყსიდნენ თავიანთ მამის ჯოგებს; იაკობმა გაგზავნა იმათთან იოსები და თან იმათი საზრდო (ჯერი) გაატანა. ძმებმა რომ შენიშნეს შორიდგან იოსები, დაიწყეს ერთმანერთში ლაპარაკი: „აგერ, ჩვენი მესიზმრე მოდის!—მოდი, მოვკლათ: ვნახოთ მაშინ რა გამოუვა იმას თავის სიზმრებიდგან?!" რუბენმა, უფროსმა ძმამ, უთხრა მათ: „სისხლს ნუ დაჰღვრით; ისევ სჯობია ხაროში ჩააგდოთ."—თითონ კი თავის გუნებაში ამბობდა: ამოვიყვან იქიდგან და მამას წავგვრიო. ძმებმა მართლა ხაროში ჩააგდეს იოსები. შემდეგ დაიწყეს სადილობა, და ამ დროს დაინახეს ეგვიპტეში მიმავალი ისმაილელთ ვაჭრები. მაშინ იუდამ უთხრა ძმებს: „რა მოგვემატება, რომ მოვკლათ ჩვენი ძმა? ისევ სჯობია ამ ისმაილელთ მივყიდოთ". მაშინ ხაროდგან ამოიყვანეს იოსები და ოც ვერცხლად გაყიდეს. შემდეგ დაკლეს ერთი თიკანი, იმის სისხლში ამოსვარეს იოსების ტანისამოსი და გაუგზავნეს მამას, თანაც დააბარეს: „ჩვენ ეს ტანისამოსი ვიპოვნეთ; აბა ნახე, შენი შვილისა არ არის?" იაკობმა მაშინვე იცნა იოსების ტანისამოსი და სიმწარით შეჰყვირა: „დიახ! ეს ჩემი შვილის ტანისამოსია! ნადირს რასმე შეუჭამია, ნადირს შთაუნთქავს ჩემი იოსები!" მაშინ მოვიდნენ იაკობის შვილები და ნუგეშს სცემდნენ მამას, მაგრამ ის არ დასდევდა იმათ ნუგეშის ცემას და ამბობდა: „მწუხარებისაგან მალე ჩავალ საფლავს!"

17. იოსები ეგვიპტეში.

ისმაილებმა იოსები ეგვიპტეში მიიყვანეს და მონის მსგავსად მიჰყიდეს ის ფარაონის კარის კაცს—პენტეფრის. ამ მეფემ იოსების ჭკვა და პატიოსნება რომ შეიტყო და, უმეტესად, როცა ნახა, რომ ღმერთი ყველა საქმეში სწყალობდა იმას,—იმან ჩააბარა იოსებს თავის მამულის მოურავობა. ამ გვარად, იოსებმა, თვით მონობაშიაც კი, მიაღწია ბედნიერებამდის. მაგრამ პენტეფრის ჰყვანდა ქარიანი ხასიათისა და ბოროტი ცოლი. იმას უნდოდა შეეცდინა იოსები და თავის პატრონის ორგული გაეხადნა. ამაზედ იოსებმა უპასუხა: „ვერა ვიქ მაგ გვარ საქმეს და ვერ შევცოდავ ღვთისა წინაშე!" ნახა რა პენტეფრის ცოლმა, რომ იოსები დიდ უარზედ იდგა—ძალიან გაჯავრდა და მაგიერის გადახდა მოიწადინა; ამის გამო იმან ტყუილი ამბავი მიუტანა თავის ქმარს იოსებზედ და ამ ხერხით საპყრობილეში ჩააგდებინა იოსები. მაგრამ ღმერთმა არც აქ დაივიწყა იოსები. საპყრობილეს ზედამხედველი ისე მიენდო იოსებს, რომ იმას ჩააბარა ტუსაღების ზედამხედველობა. იმ ტუსატებში იყო ორი ფარაონის მსახური, რომელთაგანი ერთი იყო ფარაონის პურის მცხობელი და მეორე მერიქიფე (მეღვინე). ერთხელ იოსები მივიდა ამ ტუსაღებთან და ნახა ორივე ძალიან დაფიქრებულნი. იოსებმა ჰკითხა დაღრეჯილობის მიზეზი და იმათ უპასუხეს, რომ წუხელის სიზმრები ვნახეთო და არავინ არის რომ აგვიხსნასო. „მხოლოდ ღმერთს შეუძლიან სიზმრების ახსნა"—უპასუხა იოსებმა,—„მაინც აბა მიამბეთ რაც ჰნახეთ."

მერიქიფემ დაიწყო: „მე მესიზმრა, ვითომ ჩემ წინ იდგა ერთი სამტოტიანი ვაზი, ეს ვ

ზი იზრდებოდა, ფოთლები მოისხა და აჰყვავდა; შემდეგ დამწიფდა ყურძენი და ეითომ მე ავიღე ფარაონის ბადია, გამოეწურე შიგ ყურძენი და მივართვი ფარაონს". იოსებმა აუხსნა: „სამი ტოტი ჰნიშნავს სამს დღეს. ამ სამ დღეს შემდეგ ფარაონი მოგიგონებს შენ და ისევ შენს ძველს თანამდებობას ჩაგაბარებს; შენ მაშინ ძველებურად მიართმევ იმას ბადიით ღვინოს და კვალად იქნები იმის მერიქიფედ.—არ დამივიწყო, როდესაც იქნები ბედნიერებაში: დამეხმარე ფარაონთან, რომ აქედგან დავეხწიო როგორმე". მეპურეს ესე მშვენიერად სიზმრის ახსნა ძალიან ეიამოვნა და სიხარულით უთხრა იოსებს: „მე ვნახე სიზმარში, ეითომ თავზედ მედგა სამი კალათა პური და მიმქონდა; ზევითა კალათაში სულ საუკეთესო ნემცხვარი იყო, ფარაონისთვისა მქონდა მომზადებული; მითომ ფრინველები აფრინდებოდნენ იმ ზევითა კალათას და პურსა სჭამდნენ". იოსებმა ამასაც აუხსნა: „სამი კალათა ჰნიშნავს სამს დღეს; სამს დღეს უკან ფარაონი მოაკეეთინებს შენს თავს, ჩამოგკიდებს სახრჩობელაზედ და შენს გვამს ფრინველები დაუწყებენ გლეჯვას".

სამი დღე რომ გავიდა იოსების ნათქვამები აღსრულდნენ. ფარაონმა თავის დღეობას მოიგონა ორივე ტუსაღები; მერიქიფეს დაუბრუნა იმისი თანამდებობა, ხოლო მეპურე კი ჩამოახრჩობინა. მერიქიფემ ვერ აღასრულა იოსების თხოვნა და ამის გამო იმან კიდევ ორ წელიწადს დაჰყო საპყრობილეში. მაგრამ ღმერთი მაინც არ ივიწყებს მართალთა!.

ორ წელიწადს შემდეგ ფარაონმა ნახა სიზმარი, რომელთ მნიშვნელობა ვერავინ ვერ აუხსნა იმას. მაშინ მოაგონდა მერიქიფეს იოსები და მოახსენა ფარაონს, რომ საპყრობილეში ერთი ახალგაზდა კაცი არისო, რომელმაც აგვიხსნა ჩვენ (მე და ჩამოხრჩობილ მეპურეს) სიზმრები ძალიან სწორედ. მაშინვე გაგზავნეს საპყრობილეში კაცი და მოიყვანეს იოსები ფარაონთან.

ფარაონმა უთხრა იმას: „მე ვნახე სიზმარი, რომელიც ვერავინ ვერ ამისხნა. მეუბნებიან, რომ შენ შეგიძლიან იმისი ახსნა". იოსებმა უპასუხა: „უ ღვთიდ ვერას უპასუხებ ფარაონს. არის ღმერთი ცათა შინა, რომელი აცხადებს საიდუმლოებს!"—მაშინ ფარაონმა უამბო თავის სიზმარი: „მე ვნახე, ეითომც ვიდექი ერთი მდინარის პირას; იმ მდინარიდგან გამოვიდა შვიდი მშვენიერი მსუქანი ძროხა და დაუწყო ბალახს ძოვნა. პატარა ხანს უკან იმათ გამოჰყვა სხვა შვიდი ძროხა, ისეთი გამხდარი და გამხრჩალი, როგორიც ჯერ ჩემთვალებს არ უნახავს; ამ გამხდართ დანთქეს ის მსუქანი ძროხები, მაგრამ მაინც ისეთივე გამხდრები დარჩნენ. ამ დროს კიდეც გამომეღვიძა. მერე კიდევ დამეძინა და კიდევ მეორე სიზმარი მეჩვენა: ეითომ ერთ ღეროს გამოეტანა შვიდი სრული და მსხვილი თავთავი; ცოტა ხანს შემდეგ ამაღე ღეროს გამოება სხვა შვიდი თავთავი, მაგრამ მშიერი და თითქმის გამხმარი,—და ამ შვიდმა მშიერმა თავთავემა ჩაყლაპა ის შვიდი მაძღარი თავთავი".

იოსებმა უპასუხა ფარაონს: „ორივე შენს სიზმარს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ღმერთი აუწყებს ფარაონს, რაცა ჰსურს მოახდინოს. შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი მაძღარი თავთავი ჰნიშნავენ შვიდს მოსაელიან წელიწადს; ხოლო შვიდი მჭლე ძროხა და შვიდი მშიერი თავთავი—შვიდს შიმშილის წელიწადს. მგვიპტეში შვიდს წელიწადს დიდი მოსავალი მოვა და იმას შემდეგ კი შვიდ წელიწადს შიმშილი იქნება მთელ ქვეყანაზედ. ფარაონს ორჯერ ეჩვენა ეს სიზმარი იმისთვის, რომ შეფალს სწადიან მალე აღასრულოს თავისი ნება. ამის გამო ფარაონმა უნდა მოძებნოს გონიერი კაცი და დააყენოს მგვიპტეს მზრუნველად. იმან (მზრუნველმა) შვიდ მაძღარ, მოსაელიან წელიწადში უნდა მოკრიბოს მოსაელის მეხუთედი და საცავებში (მაგაზინებში) შეინახოს და იმ შენახულით სიმშილის დროს გაუძღვეს მთელ ქვეყანას".

ფარაონს ძალიან მოეწონა სიზმრების ახსნა და იოსების დარიგებაც. „სად ვიშოვნო კაცი, სთქვა ფარაონმა, რომელშიაც სუფეედეს სული ღვთისა, როგორც ამ კაცშია?—და მიუბრუნდა რა იოსებს, უთხრა: „ამ დღიდგან შენ იქნები ჩემ სახლში პირველი კაცი! მხოლოდ სამეფო ტახტით ვიქმნები მე შენზედ უფროსი". ეს რომ უთხრა, გამოიძრო თითიდგან ბეჭედი და გაუკეთა იოსებს ხელზედ, ჩასვა ეტლში და უბძანა მთელი ქალაქი მოეტარებინათ და შეეტყობინებინათ ხალხისთვის იოსების დიდება. ამ გვარად იოსები მთელ მგვიპტეში პირველი კაცი გახდა.

აი როგორ განაგო ღმერთმა ბედი იოსებისა! მამის სახლიდგან ორმოში ჩააგდეს, ხოლო ტუსაღიდგან მეფის კარის კაცი შეაქმნა. იოსები იყო შვიდმეტის წლისა, როდესაც ძმებმა ხაროში ჩაგდეს, ხოლო როდესაც წარუდგინეს ფარაონს, მაშინ კი ოცდა ათის წლისა იყო.

(შემდეგი იქმნება).

ს. ხაშმი.

სოფელი ხაშმი აღმოსავლეთით ქ. ტფილისიდგან, არის 35 ვერსამდე—ანუ უფრო მეტი. სოფელი ესე არის დაშენებული მდინარისა იერის პირზედ, გაღმით მცირედ შემაღლებულ ვაკეზედ, სასახლეები მომატებულთ ნაწილთ აქვსთ შენობა ქვით-კირისა, რომელთთამე ბალკონებით გაკეთებულნი და ცდილობენ ცა მიყოლასა ახალთა თან-მედროეთა ჩვეულებათა. აქავ არის სასოფლო სასწავლებელი შეძლებისაებრ გამოსაღებითა, და ასწავლის სოფლის მღვდელი.—ამ სოფლის ჰავას სახელიდ ესე ხაშმი ცხადათ აჩვენებს მკითხველსა: მისთვის უფრო ეწოდება ეს სახელი, რომ ზაფხულით თუმცა არის გრილი, გასაძლისი მშვენიერი, მთიანი და ხეხელიანი; გარნა ღამით ჰსცემს ნიავი ცივი მთებისაგამო და მდინარისა იორისა, რომელიც ამ სოფელს წინ უდის. და ამისა გამო მიცემულნი ავათ-მყოფობასა, ნამეტნავ ცოფასა და ცხელებასა, შეიქმნებიან ხაშმიანნი.—მაინც ეხლანდელ იქ მყოფთ ხალხთ ამისა გამო არა აქვსთ სრული სახიერებითი და თან-შესაფერი კაცობრიობისა ფერი; არიან მოყვითანო სახის მექონნი; ხოლო ქალნი, რომელნიც უფრო ნამეტნავად იმკობენ თავთა და პირის—სახეთა, არიან მომატებულნი ნაწილნი თეთრ-ყვითელნი; და ამისათვის მართლად ეწოდება სახელი ესე ხაშმი. მაგრამ საქმი არის იქ ნამეტნავად ვენახიანობა, სადაცა ღვინო იცის მაგარი, თუმცა კარგიცა, მაგრამ არა ისრეთი შემრგე კაცისათვის, როგორათაც ღვინო ქახეთისა. ამ წელს სოფელი არ ემდურება გამოსავალსა პურისასა; ხოლო ვენახიანობაში შემოაქვთ მდურავ. სოფელსა ამას ხელოვნებითი მოქმედება არა რა შვენიშნების, გარდა აბრეშუმის კეთებისა, ამისთვის მომატებული ნაწილი ამა სოფლის მცხოვრებთაგან მეცადინებს ამის გამრავლებასა; ამ წელსა აბრაშუმს ემადრიელებიან მრავალნი.

სამართალი აქა მიეცემა სოფელსა ეგრეთ, როგორათაც სხვა სოფლებში;—სადაცა არი-

ან: მამა სახლისი, სუდიები, გამორჩეულნი პირნი და მათთან მოხუცნიცა. ზარნა განირჩევა სხვათა სოფლებთაგან მით, რომელ ხანდისხან მათ სამართლის ჰსჯაში მიიღებენ მონაწილეობასა სასულიერო პირნი შავის წოდებისანი. . . . . . რომელთადმი მამა-სახლისი, პატივის ცემითა, თუ შიშითა ანუ თვისის უცოდინარობითა, მიაქცევს, ბევრჯერ, თვისსა რჩევასა და მოფიქრებასა მათისა ნებისა და ფიქრისა მებრ; ამისთვის, რომელნიმე სოფლისა მცხოვრებთაგანნი არ არიან ესრეთისა მოქმედებისა მადრიელნი . . . . უფრო ნამეტნავი შესანიშნავი სხვა სოფლებთაგან ამ სოფელში არის ისა, რომ აქვსთ ჩვეულობასავით მიღებული სიარული ეკკლესიაში მიუცილებელად დიდთა და პატარათა.—დღესასწაულობა აქა იციან ისრე, როგორც ჩვეულება აქვთ ქართველთა, განსვლა გარეთ (ხატობაში) როგორც კაცთა, ისრე ქალთა, ეგრეთვე სასულიერო წოდებათა თეთრისა და შავისა. კაცთა ლხინი, ჯამით ღვინის-სმა განაცვიფრებენ მაყურებელთა. ხოლო ქალთა მორთულობა ახლის ჩვეულებისაებრ,—რომელიც არის განსაკუთრებით შესანიშნავი, ხაბარდა, რადგანაც ყოველთა-გან მიუცილებლად იხმარება ესე, ეგრეთვე ვითომც აუცილებელი ვალი იყოს—დაირის დაკვრა და ჯერობით თამაშობა, რომელთა ყურებითა დატკბებიან ყოველ ნაირ წოდების ხალხნი იქ მყოფნი, განსაკუთრებით. . . . . . . მაგრამ ხნიანი დედაკაცები და საშუალონიცა სასმელებისაგან არ არიან მორიდებულნი და დროების გატარებისაგანაც, რომლისა თქმასა დავაყენებ ეხლა, და დავშთები დაიმედებული გავაცნო ამისადმიცა მკითხველები შემოდგომის დროს, როდესაც უფრო ღვინიანობა არის და სმის დროება მოუვათ.

ივანე ბერძენოვი

კართოფილის ისტორია.

კეთილ მდგომარეობა და წარმატება უფრო ადრე შემოვიდა ევროპის ქვეყნებში, ვიდრე კარტოფილს გაიცნობდნენ, მაგრამ რაკი კარტოფილის მოყვანა დაიწყეს, იმას შემდეგ სრულებით გამოიცვალა მეურნეობის წესი ევროპაში და შეიქმნა ისეთ ღონისძიებათ, რომელმანაც მოსპო შიმშილობა ევროპაში. უწინ, მინამ კარტოფილი გაჩნდებოდა, ევროპის სახელმწიფოებში ხშირად მოხდებოდა ხოლმე სიმშილობა, რომელიც იყო მიზეზი მრავალ ნაირი საძაგელი ავათმყოფობისა.

მას აქეთ, რაც კარტოფილის შემუშავება დაუწყვიათ ევროპაში, შიმშილობა აღარ ყოფილა. თუ პურის მოსავალი რიგიანი არ არის ხოლმე, მაშინ კარტოფილს გაუფრთხილდებიან, რომ იმისმა მოსავალმა პურის ნაკლებობა გამოისყიდოს. ახლა კი უფრო ღარიბ ხალხს შემოეჩვია შიმშილობა, როცა კარტოფილის მოსავალი კარგი არ არის ხოლმე. ძალიან ნამიანი ზაფხული პურს ვერ ამწიფებს და ამის გამო მოსავალიც ფუჭდება ხოლმე, მაგრამ იმის მაგიერათ ეს ნამიანი ამინდი კარტოფილს ძალიან უხდება ხოლმე. ზოგიერთ მშრალს ალაგებზე, საცა გვალვა ხშირად არის ხოლმე, კარტოფილის ცუდი მოსავალი გახშირდა, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც კარტოფილს ავათ-მყოფობა შემოეჩვია. პურის სიძვირე ცუდმოსავლიან წელიწადში კიდევ უფრო იმიტომ მატულობს, რომ ზოგიერთი უსინიდისო ვაჭრები, რომელთაც ფული ბევრი აქვთ, ერთბაშათ იყიდიან ხოლმე, რაც ერთ მხარეზე პურია, რომ მერე თვითონ ძალიან ძვირათ გაჰყიდონ ხოლმე. იმათ საწყალი კაცების დარდი არა აქვთ.

ახლა კარტოფილის მოყვანა მიუცილებელ საჭიროებათ გახდა ევროპაში, რადგანაც მცხოვრებნი თანდათან მატულობენ და აგრეთვე მატულობენ საწყლებიცა.

ირლანდიაში კარტოფილი და შავი შვრიის პური ჰკვებავს მთელს იქაურს ხალხს. კარტოფილი რომ არ მოვიდეს, ათასობით და ასი ათასობით იხოცება ხოლმე ხალხი სიმშილისაგან. ხმელეთ ევროპაშიაც ბევრგან კარტოფილის მოსავალზეა ხალხის კეთილ-მდგომარეობა დამოკიდებული. კარტოფილი პურსავით იჭმევა. შეაწვარს კარტოფილს რომ ერბო წაასხო, იმის ჭამას არა სჯობიარა. ამას გარდა კარტოფილს ხმარობენ სახამებლის გამოსახდელათ, არაყსაც ხდიან იმისგან. ხორცი, რძე, ერბო, ყავა—სულ ესენი კარტოფილის მოყვანით გაიეფდა ევროპაში.

კარტოფილი ამერიკული მცენარეა. ის ველურათ მოდის ამერიკის მთებზე, რომელსაც სახელად კორდილერს უწოდებენ.

საკვირველია, რომ კორდილერის მთაზე მოსული მცენარე შეიქმნა მთელი ქვეყნის სარჩოთ; ახლა ძვირათ იპოვის კაცი იმისთანა მხარეს დედა-მიწის ზურგზე, სადაც კარტოფილი არ მოდიოდეს. კორდილერის მთის ზურგის გაყოლებაზე ბევრი სახელმწიფოა' იმათში არის ჩილის სახელმწიფოც, საცა გარეული კართოფილი მოდის. ამ კარტოფილს წვრილ-წვრილი და მწარე ნაყოფი ასხია. მაგრამ ჩილის სახელმწიფოს გარდა სხვა ალაგებშიაც მოდის გარეული კარტოფილი, ასე რომ ნამდვილათ არ იციან, რომელი არის ნამდვილი სამშობლო ქვეყანა კარტოფილისა. კარტოფილი პირველათ მოიტანეს ევროპაში სამასის წლის წინათ და არ იციან კი, ვინ იყო ის კეთილი კაცი, რომელმაც ქვეყანა ქეთილ მდგომარეობაში შეიყვანა ამ სასარგებლო მცენარის გადმონერგვითა.

კარტოფილი ბევრგვარია. იქვე ამერიკის მთებზე მოდის ერთ გვარი კართოფილი, რომელსაც ყვითელი ფერი აქვს და იქ ეძახიან ტკბილს ანუ „შაქრის კარტოფილსა“. ამ კარტოფილს ნაკვერცხლებზე სწვავენ და, როგორც წაბლს, . ჰყიდიან ყოველგან სამხრეთ ამერიკელ ქალაქებში. რასაკვირველია ჩვენ მხარეში რომ როგორმე გაჩნდებოდეს ეს კარტოფილი, დიდი სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ ეს არის უბედურობა, რომ ჯერ უბრალო კარტოფილიც კარგათ ვერ გაგვიშენებია და ვერ მოგვიხმარებია, არამც თუ შაქრის კარტოფილი მოვიხმაროთ.

შაქრის ნეკერჩხლის ტყეები ამერიკაში.

(ფრანცუზის მოგზაურობითგან).

შიკაგო არის ერთი ღირს შესანიშნავი ამერიკის ქალაქი, ის მდებარებს მიჩინგის ტბის კიდეზედ და ითვლება მოვაჭრე ქალაქად ილლინოისის შტატში. თხუთმეტის წლის წინეთ იმ ადგილს, სადაც ეხლა მდებარებს შიკაგო, იდგა მხოლოდ რამდენიმე ღარიბი ქოხი, გადახურული ხავსითა და ლელწმითა. ეს საცოდავი სოფელი შენდებოდა კიდეზედ ზღვის ტოტისა, ისეთის განიერისა და ღრმისა, რომელშიაც შეიძლება დაეტიოს მთელი ფლოტი სამხედრო ხომალდებისა. ვალდებული ამ გვარის მდებარეობით და ევროპიულთ ხიზანთა, რომელთაც კარგათ ისარგებლეს ამ გარემოებითა, ეს პატარა სოფელი გავრცელდა, მერე გარდაიქცა დიდ ქალაქად, რომელ-

შიაც ეხლა, ახალის აღწერილობით, ითვლება ას ოცდა ხუთი ათასი მოქალაქე.

აი ამ უცებ გავრცელებულს ქალაქში შემხვდა მე ყოვნა საკუთარს საჭიროებაზედ. მე ჩამოვხტი ტრახტირში. ერთხელ დილით, როდესაც მე ვსჭამდი საუზმეს საერთო სტოლზედ, ვიღაც უცნობი კაცი შემოვიდა ზალაში და დაჯდა მახლობლად ჩემსა.

იმისი მზისგან დამწვარი პირი და უბრალო ტანისამოსი აჩვენებდნენ, რომ ის არ უნდა ყოფილიყო კაცი მაღალი საზოგადოებისა. იმას ქუდიც არ მოუხდია, ვინემ გათავდებოდა ჩვენი საუზმე; ბოლოს ბოდიშ მოუხდელად დამიწყო კითხვა, თუ ვინა ვარ მე, საიდამა ვარ მოსული, რისთვისა ვარ ამერიკაში, რა უფრო მეჩვენება მე ღირს შესანიშნავად. მე ძლივს ვასწრობდი პასუხის მიცემას, და ბოლოს ვკითხე მეცა, თუ ვინ არის ის თვითონ?

„მე ვარ კანადელი, სიმონ ბერჟერონი, მითხრა მე იმან,—მიწის მუშა, ვაჭარი ბეწვეულისა, მექონი დიდის ნეკერჩხლის ტყისა; გარდა ამისა მიცნობენ მე მთელს კანადაში და ილლინოის შტატში, ვითარცა ჩინებულს მონადირეს და მარჯვე მსროლსა“.

რადგან მე თითონ მოყვარული ვარ ნადირობისა, ამიტომ ჩვენში ჩამოვარდა მხიარული ბაასი, და ამ სასიამოვნო ბაასში ჩვენ შევსჭამეთ დიდი საუზმე, შემდგარი ცხელისა და ცივის საჭმელებისაგან.

ბოლოს ბერჟერონმა მითხრა: „მე ვხედავ, რომ თქვენც ჩემსავით კარგი მსროლი ყოფილხართ და გყვარებია ნადირობა. ახლა ეს მითხარით: გინახავთ როდისმე თუ არა ნეკერჩხალის ტყე? თუ არ გინახავთ, მერწმუნეთ რომ ძლიერ მოგეწონებათ, როცა ნეხავთ. ამას გარდა, იცით თუ არა, იმ ტყისაგან შეიძლება შაქრის გამოღება; ნეკერჩხლის ტყეები მარტო ერთს კანადაში არ არიან; ისინი არიან სხვა ამერიკის შტატებშიაც, მაგრამ ილლინოისში ყველაზე უკეთესი ტყეა ნაკერჩხლისა, და ყველაზედ ბევრს შაქარს აძლევს, ჩემი მამულებიც იქ არის, და არა გნებავთ, რომ მწვიოთ მე იქა?“

რადგან მაშინ ამინდი იყო ერთობ ცუდი, ამიტომ გამოუტყდი ჩემს ახალს ნაცნობს და უთხარი, რომ სრულიად არა მაქვს მეთქი სურვილი ისე შორს წასვლისა, იმისთვის რომ ვნახო თუ რარიგათ იზდება ამერიკაში ნეკერჩხალის ტყე.

ესეც უნდა ვიცოდეთ განაგრძო იმან, რომ იმ ტყეში არის მრავალი ნადირი: დათვი, სინჯაფი, მგელი, ირემი, ტყის ქათამი და სხვა მრავალი მხეცი და მფრინველი. მე თქვენ აღგითქვამთ თვით მხიარულს ნადირობას; ყოველგან ვიშოვნით ჩვენ გემრიელს და მთელს საზრდოს, წმინდა ქოხებსა, რბილს ქვეშსაგებსა და ალერსიან მიგებებას. აბა ნულარ ყოყმობ ბევრსა, მე მივდივარ ხვალვე; ჩემი საქმეები აქ ყველა გათავდა და იქკი არაოდეს არ გათავდებიან, მანამ ცოცხალი ვარ. მე იქ მიმელიან მოუთმენელათ, და მეც სწორე გითხრა, მივეშურები ჩემს სასიამოვნოს თავისუფალს ტყეებში; მხოლოდ იქ შემიძლიან ვგრძნობდე კაცურათ მხეცებსა და მფრინველებში“

მე გარდავსწყვიტე წასვლა. დავიწყეთ ისე, რომ წასულვიყავით პეორამდის ცხენებით, იქიდამ ნეკერჩხლების ტყეებამდინ რკინის გზით. ის ტყეები მდებარებენ ლისტენროლის მდინარის კიდეებზედ. მეორეს დღეს ბერჟერონი გამოცხადდა ჩემთან ოთხს საათზედ ნასადილევს და მოჰყვა თან იმის მეგობარი ერთი ვაჭარი, რომელმაც გვთხოვა წასვლა იმისი ეკიპაჟით პეორამდის. ის ეკიპაჟი ჰგავდა რაღაც გრძელს ყუთს თვლებზედ დადებულს და თუმცა გარეგანი მისი სახე არ იყო ერთობ გამოსაყენი, მაგრამ შიგნითკი აღმოჩნდა ძრიელ მარჯვე; იმას ზევით, ქვეით და გვერდებზედ ჰქონდა შემოკრული ბეწვი. ჩვენ ორნივ იმაში დავეტიეენით თავისუფლათა, და თითონ ვაჭარიკი დასჯდა კუჩრის ადგილს და თითონ მართავდა ცხენებსა. ჩვენ გავედით შიკაგოდამ ძლიერ მხიარულნი ხუთს საათხედ და გარდავსწყვიტეთ არსად არ ჩამომხდარვიყავით. მინამ ადგილამდის მივაწევდით.

მაისის თვეში იმ ალაგს კაცს წარმოუდგება თვალწინ მშვენიერი სანახავი. მინდვრები აყვავდებიან მაშინ სხვა და სხვა ფერათ და როდესაც კაცი დიდხანს უყურებს, ჰგონია თუ ახალ ახალი ყვავილი ამოდისო მიწიდგან.

რა განცხრომაა და რა მშვენიერებაა მაშინ იქ ბუნებაში! ამისი არც აღწერა და არც მოთხრობა არ არის შესაძლო, როგორც რიგია.

გათენებისას პერიაში გამოვეთხოვეთ ჩვენ წინამძღოლსა და წავედით ჩინებულის ცხენებით. გზა იყო ტყიანი: ზოგი მუხისა და ზოგი ნეკერჩხლისა, მაგრამ რამდენიც წინ წავიწიეთ, იმდენი მუხის ტყე შეიქმნა იშვიათი და ბოლოს გაქრა უკანასკნელი ხე მუხისა, ასე რომ ბოლოს დარჩა წმინდა ნეკერჩხლის ტყე. მე არაოდეს არ მინახავს იმ გვარი ნეკერჩხლის ხეები. ღერი მათი არიან განსაცვიფრებელის სიმაღლისა, სწორეებია, ასე რომ კარგათ გამოდგებიან ხომალდის ანძათ (Мачта), ზოგი ერთს მათგანსა აქვს ორი ადლი სისქე.

როდესაც მომაგონდა, რომ ის ხეები აძლევენ შაქარსა, მე უყურებდი მათ ტკბილის გრძნობით. ბერჟერონი ხომ ისე აქებდა მაშინ იმ ხეებსა, თითქო თვითეეული მათგანი ყოფილიყო შაქრის თავი.

ჩვენ მალე მივაწიეთ იმ ადგილებზედ, სადაც მუშაობენ შაქარსა. ის ადგილი ჰგავდა რაღაც პატარა სოფელსა. პატარ-პატარა ქოხები იყო აქა-იქა გაბნეული მახლობლად წყაროსი და პატარა ღელისა. კიდეებზედ იმ ღელისა იყვნენ მშვენივრად თეთრათ გაშლილნი დიდროვანნი ყვავილნი მაგნოლიისა, ქოხების შუაში არის გაკეთებული კერა სამის დიდის ქვისაგან; სოფელს გარეშემო არტყია ურმები, ეს არის იმის სიმაგრე და თავის დასაცავი მხეცებთაგან.

კერას გარშემო სდგანან კასრები შაქრის წვენით და მახლობლად მათსა ყარაულები, (მცველები) თოფებით, რომელნიც დღე და ღამ უდგიან მათ, და ძლივს დაიცვენ მათ სხვა და სხვა მხეცებთაგან, რომელთაც ძრიელ უყვართ ეს ტკბილი შაქრის წვენი. ისინი ისე ხარბები არიან და სწყურიანთ იმის დალევა, რომ თითქმის აღარ ერიდებიან არც თოფსა და არ კაცსა.

როდესაც მიუახლოვდით იმ შაქრის ბანაკსა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ორი რაღაც დიდი ცხოველი იჯდა ხეზედ და ელოდნენ იმ წამსა, როდესაც ყარაული შეაქცევდა მათ ზურგსა, რომ სასწრაფოთ ჩამომხტარიყვნენ და ერთი ენა მაინც მოესვათ ტკბილის წვენისათვის. მაგრამ ჩვენმა მარჯვე ტყვიამა მოაკლო ისინი საუკუნოთ იმ კმაყოფილებას. რამდენისამე წუთის შემდგომ ისინი ჩამოსცვივდნენ ორნივ ძირსა ტყვიისაგან გახვრეტილნი.

აი დასაწყისი ჩვენის მექცევისა, საყვარელო მეგობარო, მითხრა მე ბერჟერონმა.

ჩვენმა ტყვიის ხმამ შეატყობინა ყველას ჩვენი მისვლა; ყოვლის მხრიდგან მობრუნდნენ იქ მუშები დაუკრავდნენ თავს პატივისცემით თავიანთ აღას.

ის მიუბრუნდა იმათ ალერსით და კითხავდ.: როგორი არის შაქრის მოსავალიო?

მოსავალი არის ძლიერ ჩინებული, მიუგო უფროსმა მუშამ; ამ კვირაში სულ ყველა ბოჩკა გაივსება; უნდა ვეცადოთ გადავასხათ ისინი სადმე, თორემ ჩვენ უნდა ვისხდეთ უსაქმოთ გულხელ-დაკრეფილნი, ერთ კვირეს უკან.

ძარგი, ჩვენ მაგისას მოვახერხებთ, უთხრა იმას ბერჟერონმა და უბძანა მომზადება საუზმისა.

ძოხის წინ იდგა საჩრდილობელი, ზეითი იყო გადაბურვილი, და გარეშემო იმისა იდგა რამდენიმე ნეკერჩხალი; ზაფხულში ერთ რიგი მცენარე შემოხვეული იმათ ღეროებზედ შეადგენს მშვენიერს მწვანე მის კედლებსა. მაგრამ მაშინ, როდესაც მე ვიყავი ბერჟერონთან, ხეები იდგნენ უფოთლოდ, და მხოლოდ მისი გარდასახურავი და სკამი ხისა ჩრდილს ბერძნებდნენ, რომ ის იყო საჩრდილობელი; ღელვა იყო თბილი, სასიამოვნო. ჩვენ დაესხედით სასაუბროში სტოლზედ, რომელიც იყო ერთი განიერი მუხის ფიცარი, დაკრული ოთხ პალოზედ, მიწაში ჩასმულზედ. სახლის პატრონმა იმ სოფლისამ მოგვეტანა და დაგვიდო დათვის ლორი, შემწვარი გარეული ინდოური, ცხელი კვერცხები და ერთი დოქი ნეკერჩხლის შაქრის წვენი, რომითა, რომელიც იყო ძრიელ სასიამოვნოს გემოსი

შემდგომ სადილისა ბერჟერონმა მიმიპატიჟა იმ ტყეში, სადაც მუშაობენ შაქარსა. აი როგორ აკეთებენ ამას ბერჟერონის მუშები: თვითეულს მუშებს დაურიგებენ თითო პატარა ბურღსა, რამდენსამე ხის კოკას და მასრას პროპკის ხისას: ამ იარაღებით ისინი წავლენ და დაიფანტებიან ტყეში სხვა და სხვა მხარეს, ამოირჩევს ყოველი მუშა ხესა და დახვრეტს ხის ქერქსა ბურღით, ფესვიდამ ორ აღლის სიმაღლეზედ, მერე ჩაურჭობს მასრას დახვრეტილს ალაგს და მეორე იმის პირს ჩაუშვებს ხის კოკაში. აქ ის ძრიელ გაფრთხილებულია, რომ ძრიელ ღრმათ არ დახვრიტოს ხის ღერო, ამიტომ, რომ მაშინ ბევრი წვენი აღარ გამოვა ხიდამ. ჩვეულებრივ ხეს უხვრეტენ იმ მხარეს, რომელიც მიქცეულია ჩრდილოეთისაკენ; შენიშნულია, რომ ის გვერდი უფრო მდიდარია წვენით, ვინემ სხვები. მაშინ დაიწყებს დენას ჯერ თითო ვერცხლის ფრის წვეთათ, მერე მოუმატებს მცირე ნაკადულსავით და შემდგომ მოდის, როგორც წყარო, ჭურჭლები მალე ივსებიან ერთი მეორეზედ. იმ შეკრებილს წვენს ჩაასხმენ დიდს ქვაბში, რომელიც ჰკიდია დიდს ძელზედ ორს მაღალს ხეზედ დამაგრებულზედ,

ქვაბ ქვეშ ანთია ძრიელი ცეცხლი. იმ წვენს ადუღებენ იქამდინ, ვინემ არ გადაიქცევა ბადაგათ ნახევარ, საათის დულილის შემდგომ გადმოიღებენ ცეცხლდამ ქვაბსა. როდესაც ბადაგი გაცივდება, იმას გასწურავენ შალის საბანში და ბოლოს ჩაასხმენ კალაპოტებში. და იმ დღიდგან ის შეიქმნება სახმარებელი ანუ გასასყიდი. იმას აქვს მოყვითლო ფერი. მე დავლიე ყავა იმ შაქრით და შევნიშნე, რომ იმას აქვს რაღაც საკუთარი კეთილ სუნოვანი გემო.

ერთი ნეკერჩხლის ხე აძლევს წელიწადში ოთხს გირვანქა შაქარს და ნიუიორკის შტატში აკეთებენ იმ ნეკერჩხლის შაქარსა ორმოც მილიონს კილოგრამს (კილოგრამი არის ორგირვანქა ნახევარი).

კანადაში ეს შეადგენს უმთავრეს აღებ-მიცემობას იმ მხრისას, და ყოველ წლივ ჰყიდიან ორმოცის მილიონის დოლარისას (დოლარი ცოტა მანეთზედ მეტია).

(შემდეგი იქნება).

სხვა და სხვა ამბავი.

ამ ცოტას ხანში ერთი ავაზაკი კაცი გამოჩნდა პოლშის მხარისკენ, რომლისა არც სახელი, არც გვარი, არც ადგილ-საცხოვრებელი არავინ იცის. როცა სასამართლოში მიიყვანეს, ამან განაცხადა, რომ მე მქვია აარონი, თუ დავით კატცია; წინათ კი სხვა სახელსა და გვარს ირქმევდა. სახით და ლაპარაკით ებრაელს ჰგვანდა. კატცი ამტკიცებდა, რომ მე იზბიცაში დაეიბადეო, მაგრამ უხანის პატარა ქალაქში ევაჭრობდეო. მაგრამ არც ეს ჩვენება გამოდგა მართალი. ის მუდამ დატანტალებდა ერთი ადგილიდგან მეორე ადგილს. პასპორტებს მუდამ იცვლიდა, ერთხელ, როცა დაიჭირეს და გაგზავნეს, გზიდგან გაიქცა და იმალებოდა. ერთი სიტყვით ყოჩაღათ იყო. ის ქურდობდა, გზაზე ჰხვდებოდა და გამლელ გამომველელს ცარცავდა.

ბანსაკუთრებით შესანიშნავია, თუ რა ოდონის ძიებას ხმარობდა, რომ ვინმე გაეცარცა.

კატცი, როგორც პატიოსანს კაცს ეკადრება ისე იყო ჩაცმული ევროპიულად, წითელი ქოლგა ხელში ეჭირა; ქირაობდა პატარა დროჟკებს სხვა და სხვა სოფლებში, უფრო შეძლებულ კაცებისაგან. გზაზე ის დაუწყებდა ხოლმე მედროშკეს ლაპარაკსა და ბოლოს ასმეოდა წამყვანს არაყს გაუმასინძლდებოდა და თამბაქოსაც აძლევდა. დროშკის პატრონი როგორც კი სჯამდა იმისგან მინაძლევეს საჭმელს, ან მოსწვევდა იმისს თამბაქოსა, მალე დარეტიანდებოდა და ცნობა მიეღებოდა. მაშინ კატცი გადმოაგდებდა ხოლმე იმას დროშკიდგან, გახდდა ტანთ-საცმელს, მოჰპარავდა ფულს და გაუყენებდა გზას დროშკას ცხენებიანათ.

ვინ მოსთვლის ყველა ავაზაკობას, რაც კატცს თავის სიცოცხლეში უქმნია, მხოლოდ ჩვენ გვინდა გიანბოთ ერთი გლეხის ნაამბობი, რომელიც კატცს ჩავარდნია ხელში და გაუცარცავს:

შარშანწინ ოკტომბერს ორმა ებრაელმა, კატცმა და კიდევ მეორემ, სთხოვეს ამ გლეხს, წაეყვანა ისინი სოფელს ვაჟეშჩეოს. ის თანახმა გაუხდა და მიიყვანა სოფელს. როცა უკან წამოიყვანა იგივე მგზავრები, გლეხს თავბრუ დაესხა. ამ დროს იმათ გადმოაგდეს ეს გლეხი დროშკიდგან, თითოეულ გაატიტელეს, ბევრი სცემეს, მერე წაიღეს ტყეში და იქ ხის ფოთლები წააყარეს, თვითონ შესხდნენ ამ დროშკაზე და გასწიეს თავისთვის.

მეორე დღეს ჯერ კიდევ არ გამორკვეულიყო თავბრუდგან.

მიაღწია ვაჟეშჩეოს სოფლამდის და უამბო ხალხს თავის უბედურობა. ამაევ გვარათ კატცმა გაცარცეა ვინღაც ივანე, პეტრე და ქაზიმირი. ბევრი იძიეს, მაგრამ ვერა შეიტყვეს რა იმისა, თუ რა წამალი ჰქონდა იმისთანა, რომ თავბრუს ასხამდა მედროშკეებსა. მხოლოდ ეს იყო, რომ წამალი საშინლათ ათრობდა კაცებს. ერთმა გაცარცეულმა გლეხმა კაცმა სთქვა, რომ ორი მუწა თამბაქო რომ ცხვირში შეეყარა, იმის მეტი არა უნდოდა რა კატცს; მაშინვე გაბრუებდეო. მეორე გლეხი ქაზიმირი, კატცისგან გაცარცეული, ამბობდა, რომ როგორც კი ერთი რუმკა არაყი გადაეკარი და ორი მუწა იმის მოცემული

თამბაქო ცხვირში შეეყარე, მაშინვე გამაბრუაო. იმ საწყალს მაშინ წარმოუდგა, რომ აი მცემენ, თავზე თმა აღარ შემარჩინეს, იქით ეცა—აქეთ ეცა, ისე რომ სწორეთ გაგიჟებულსა ჰგავდა. პატცმა სამჯერ გაცარცვა და ცხენები მოიპარა. ბოლოს მთავრობამ დაუწყო თვალყურის დევნება და დაიჭირა უხანის დაბაში.

პატცმა ჯერ ყველაფერი გადათქვა, გვარსა და სახელს არ ამბობდა, მაგრამ მაინც ვერას გახდა. გაცარცვულმა გლეხებმა ისე დაწვრილებით ასწერეს ეს ავაზაკი, რომ ეჭვი არ იყო იმის ვინაობაზე. ნაფიცი მოყმების ჩვენებით და გაცარცვულ გლეხების სიტყვით, ნამდვილათ ის კაცი გამოჩნდა ავაზაკათ, რომელიც დაეჭირათ, უხანის დაბასთან და რომელიც ჯერ ქირაობდა დროშკებს და მერე მედროშკეებს წამლით ათრობდა და ცარცვავდა. როდესაც სასამართლომ კარგათ გამოიკვლია პატცის ვინაობა, მაშინ გადუჭრა იმას ამისთანა სამართალი: ჩამოართვეს ყოველგვარი ღირსება და თორმეტს წელს მძიმე სამუშაოთ გაგზავნეს ციხეებში. სენატმა ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა.

სახაზინო მარილისა და რკინის გაქურდვა ნიჟნი-ნოვგოროდის ქალაქში. ამ საქმის გამოსაძიებლათ მთავრობამ დანიშნა კამისია მარჯვე კაცებისაგან და იმათ შორის ყველაზე მარჯვე იყო გამომძიებელი ანნენკოვი და კამისიის თავი კაცი შულცი. რაკი ეს კაცები დანიშნეს, გამოძიებამ ძალიან მალე იწარმოა და აღმოჩნდნენ ქურდნიცა. როგორც კამისიამ გამოიკვლია, ერთი მილიონ ნახევარი ფუთი მარილი მოუპარავთ, რომელიც ჰღირს შვიდას ოთხმოცდა ორი ათას მანეთად; რკინა მოუპარავთ ორმოცდა თექვსმეტი ათასი ფუთი. როგორც შეიტყვეს, თვითონ სახაზინო პალატის უფროსს უნებებია ნელნელა ქურდობა რამდენისამე წლის განმავლობაში. იმას თანაშემწეთ ჰყოლია ამ შემთხვევაში თვისივე ჩინოვნიკი, მარილის ყურის მგდებელი პრისტავი ტერსკი. ვერდერევსკიმ როგორც კი მიიღო სახაზინო პალატის უფროსობა ნიჟნი-ნოვგოროდის ქალაქში, ძალიან ფიცხათ დაიწყო მოქმედება, სდევნიდა ჩინოვნიკებს, გაჩინა შტრაფის წიგნები, სადაც სწერდა ნახევარ გირვანქობით, რომ ვისმე მოულოდნელათ დაეპნია მარილი იატაკზე და ახდევინებდა ხოლმე ჩინოვნიკებს იმდენს მარილის დაპნევისთვის, რამდენისთვისაც კანონი არ ახდევინებდა. განსაკუთრებით ტერსკის ემტერებოდა ვერდერევსკი; ზოგჯერ კიდეც დაემუქრა სამსახურიდგან გაგაგდებო. ამ სახით იმიტომ ეპყრობოდა ტერსკისა, რომ გაებანდა საქმეში და ბოლოს თავის ყურმოჭრილ ყმათ გაეხადნა. ვერდერევსკიმ ამ რიგათ აასრულა თავისი განზრახვა. ტერსკი მიხვდა, უფროსი იმიტომ მემტერებაო, რომ უნდა თავის უკანონო საქმეში ყურმოჭრილ ყმათ გამხადოსო და მართლაც იმ წამიდგან, როგორც ვერდერევსკის ჰსუროდა, ისე იქცეოდა.

ყალბი მიწერილობანი ვერდერევსკისა მიაკერეს კამისიის საქმეებზე და როდესაც ჰკითხავდნენ ვერდერევსკის, მაშინ კინაღამ არ მოიტაცა ეს მიწერილობანი, რომ გამომძიებელს ანნენკოვს ძალა არ დაეტანებინა. შემდეგ პეტერბურგს როცა პირში წაუყენეს ფინანსის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი, მაშინ ნათლათ დამტკიცდა ამ მიწერილობათა სიყალბე. სხვაში კი არაფერში არ ტყდება ვერდერევსკი და როდესაც ნათლათ დაუმტკიცებენ ხოლმე რომელსამე შემთხვევაში იმის სიმტყუვნესა, მაშინ ის დაიწყებს ტირილს და ევედრება გამომძიებელთა ჩემს სიბერეს მაინც პატივი ეცითო. ვერდერევსკის ხელქვეითნი ყველანი გატყდნენ და ერთ ხმათ აჩვენეს იმის წინაალმდეგ. პალატის წევრები დამფრთხალნი იყვნენ იმისგან და შიშისა გამო წიგნებზე და სარევიზიო ფურცლებზე ხელს აწერდნენ. ჩინოვნიკები, რომელთაც ებარათ სახაზინო მარილი და რკინა, ყველანი ამბობდნენ, რომ თვითონ ჩვენ ვერიეთო მარილის და რკინის ქურდობაში, ისიც ვიცოდით, რომ ამ ნაქურდალის საქონლიდგან აღებული ფული ჩვენის უფროსის ჯიბეში ჩადიოდაო, მაგრამ იმის შიშით ვერას ვამხელდითო. ვინც ვერდერევსკის ბრძანებას არ აასრულებდა, მაშინვე სამსახურიდგან გამოაგდებდაო. ბოლოს ისე ცხადათ აღმოაჩინეს ვერდერევსკის ქურდობის კვალი, რომ, მეტი გზა არა ჰქონდათ, ციხეში უნდა ჩაესვათ ეს ავაზაკი, უფროსი სახაზინო პალატისა. საპყრობილეში ვერდერევსკი ძალიან ავათ გახდა, ასე რომ იქიდგან გამოიყვანეს და ძმისწულის სახლში დააწვინეს. ექიმებმა დაამტკიცეს, რომ სიკვდილით არა უჭირს [illegible] ლეც გათავდება იმის საქმე.

ამ გამოძიებაში ექვსასი კაცია გარეული.

არითმეტიკა.

რიცხვი თორმეტი.

თერთმეტის შემდეგი რიცხვი თორმეტია. რა სიტყვებისაგან არის შემდგარი თორმეტი და რას ნიშნავს! თორმეტი ან ათორმეტი შემდგარია ორის სიტყვისაგან ათი და ორი მეტი ან ათი და კიდევ ორი. ათი და ორი შეადგენს ერთს ათეულს და ორს ერთეულს.

მასწავლებელმა ეს რიცხვი უნდა დააყოფინოს რამდენსამე ნაწილათ და ბევრნაირათ უნდა ავარჯიშოს. ამ რიცხვისთანა მრავალ გვარი სავარჯიშებელი აქამომდე არც ერთი რიცხვი არა ყოფილა. ამისთვის მასწავლებელმა უნდა იხმაროს ქვები, ჯოხები ან კაპეიკები, ერთი სიტყვით, რაც რამე აქამომდე უხმარია, ისინივე უნდა იხმაროს ნათლად გულში ჩასაბეჭდათ; შემდეგ საგნების უხმარებლათ მარტო ცარიელ რიცხვზე უნდა ავარჯიშოს (ზეპირათ).

ერთს მოწაფეს თორმეტი კაპეიკი უნდა, იმას აქვს მხოლოდ სამკაპეიკიანი და ერთი კაპეიკი, კიდევ რამდენია საჭირო?—სოსომ სთქვა, მამამ შაური მომცაო, ძმამ უთხრა ახლა ორივეს ერთად თორმეტი კაპეიკი გვაქვსო; ძმას რამდენი ჰქონია? რამდენსამე ყმაწვილს ფულები დაურიგეს; ორ ყმაწვილს თითო კაპეიკი მისცეს, ერთს ორ კაპეიკიანი ჰხვდა და ერთს შაური, რამდენი ყმაწვილი ყოფილა და რამდენი ფული მიუციათ? პინტოს დაჰქონდა თორმეტი ვაშლი; ჯერ ნახევარი გაჰყიდა, მერე, რაც დარჩა, იმის ნახევარი და კიდევ ერთი ვაშლი, რამდენი დარჩებოდა თორმეტიდგან?

ხუთი თანასწორი ჯოხი უნდა იშოვნოს მასწავლებელმა და ერთი უნდა გაჰყოს შუაზე, მეორე სამ თანასწორ ნაწილათ, მესამე ოთხ თანასწორ ნაწილათ, მეოთხე ექვს თანასწორ ნაწილად, მეხუთე თორმეტ თანასწორ ნაწილად. შემდეგ მეთორმეტე ნაწილი უნდა შეუფარდოს სხვა ნაწილებსა და ამ სახით გამოიკვლიოს მეექვსედ ნაწილში რამდენი მეთორმეტედი გამოვა, მეოთხედში—მესამედში და ნახევარში რამდენ-რამდენი მეთორმეტედი იმყოფება?

ნაწილების ანგარიში უფრო იმისთანა ყმაწვილებს უნდა ჰკითხოს ხოლმე, რომელთაც უფრო ესმისთ და უფრო მეხსიერები არიან).

დავსწეროთ ერთი მეთორმეტედი $^{1}/_{12}$, ორი მეთორმეტედი $^{2}/_{12}$; როგორ იწერება ექვსი მეთორმეტედი?—აი, ასე $^{6}/_{12}$.

$^{6}/_{12}$ რამდენი ნახევარი გამოვა. მეოთხედი რამდენიღა იქმნება?—$^{3}/_{12}$ რა ნაწილს უდრის?—$^{1}/_{4}$-სა. ორ ყმაწვილს გაუყვეს ერთი ვაშლი აი, ამ გვარათ. ერთს $^{1}/_{3}$ და $^{1}/_{6}$ მისცეს; მეორეს $^{1}/_{4}$ და $^{3}/_{12}$. რომელს უფრო მეტი რგებია?

თორმეტი თავი რომლისამე ნივთისა ერთი დუჟინია. ბევრი საგნებია იმისთანა, მაგალითად თებშები, კოვზები, ხელსახოცები და სხვ., რომელთაც დუჟინობით სთვლიან.

ერთს ქალს მისცეს ერთი დუჟინი ხელსახოცის შეკერვა. ის სამი დღე მუშაობდა და დღეში სამ-სამი ხელსახოცის მეტი ვერ გაათავა. რამდენი ჰკლებია თორმეტსა და დანარჩენს რამდენს დღეს გაათავებს?—მე ვიყიდე ნახევარი დუჟინი თებშებისა, რამდენი თებშია. დუჟინის მესამედი რამდენია?

დედა უკერავს სამს თავის შვილს ერთს დუჟინს პერანგს, უფროსს ნახევარი დუჟინი უნდა ექმნეს, მეორეს დუჟინის მესამედი უმცროსს რამდენი ღა დარჩება?

მეთევზემ დაიჭირა 12 თევზი. მეოთხედი ამ თევზებისა დაამწყვდია წყაროში, ორი თევზი სადილათ გაიკეთა, დანარჩენი გაჰყიდა. რამდენი გაუყიდნია?—ოქრომჭედელს შეურიგდნენ, რომ დანიშნულს დროზე ერთი დუჟინი ბეჭედი უნდა გააკეთოს. მაგრამ იმან მოასწრო მხოლოდ ოთხი ბეჭდით მეტი ნახევარ დუჟინზე. დუჟინს რამდენი ჰკლებია?—სამმა ძმამ ვაშლები იყიდეს; ერთმა იყიდა თორმეტი, მეორემ ექვსით ნაკლები პირველზე, მესამემ ექვსით მეტი მეორეზე. თითოს რამდენ-რამდენი უყიდნია? ერთი დუჟინი ხელთათმნები რომ თორმეტს კაცს გაუყო, თითოს რამდენი ჰხვდება?

ერთს ყმაწვილს მისცეს ორჯერ ექვსი მსხალი, მეორეს ექვსჯერ ორი მსხალი, რომელს უფრო მეტი მიუღია?

პეტრემ აჩუქა ოთხ გლახას თორმეტი წყვილი წინდა, თითოს რამდენი წყვილი ხვდებოდა?

ვის შეუნიშნავს ცაზე მთვარის ცვლილება? ზოგჯერ ის სულ გავსებულია, ერთი სიტყვით სულ რგვალია! შემდეგ ის დაიწყებს კლებას, ესე იგი მარჯვენა მხარეზე თანდათან კლებულობს ასე რომ ცოტას ხანს შემდეგ მთვარე განახევრდება და ბოლოს იმდენათ აკლებს, რომ ნამგლის სახე აქვს. შემდეგ სულაც გაჰქრება—ახალ ამოსვლამდის. ამ სახით მთვარის დაბადებიდგან იმის გაქრობამდე ოთხი კვირა და ორი დღე გადის, ან ერთი თვე. ერთი თვის განმავლობაში მთვარე კიდეც იბადება და ჰკვდება, როგორც ჩვენში იტყვიან. თორმეტი თვე შეადგენს ერთს წელიწადს. (აქ მასწავლებელმა უნდა დაასწავლოს ყმაწვილებს თვეების სახელები ზედ მიყოლით) ნახევარ წელიწადში რამდენი თვეა? მეოთხედ წელისადში რანდენი თვეა?—წლის მესამედში რამდენილაა?—მგზავრმა ერთს ქალაქში ორი თვე გაატარა, მეორეში—ნახევარი წელიწადი, მესამე ქალაქში ხუთი თვე, მეოთხეში წლის მესამედი, მეხუთე ქალაქში წლის მეოთხედი, მეექვსე ქალაქში ერთი თვე. სულ ყველა ქალაქში რამდენი წელიწადი და თვე გაუტარებია?

12 მისხალში რამდენი ლოტია?—თორმეტ კაპეიკში რამდენი სამკაპეიკიანი გამოვა?—ორ კაპეიკიანში რამდენიღა გამოვა? თორმეტი არშინი რამდენი საჟენია?

თორმეტ კაპეიკათ რამდენი თაბახის ყიდვა შეიძლება, თითო თაბახი თუ ორ კაპეიკათ ღირს! ჭოტემ ოთხ მისხალ ლილაში თორმეტი კაპეიკი მისცა, თითო მისხალი როგორ დაუჯდა?

ექვსი სურათი ოთხ მანეთად ღირს, თორმეტი რამდენათღა ღირს? თორმეტ არშინ მაუდში ცხრა მანეთი მიუცია; ოთხი არშინი კიდევ დასჭირდა, რამდენი უნდა მისცეთ? თითო ყმაწვილი რომ თვეში ორ მანეთს აძლევდეს სწავლაში, ნახევარ წელიწადს რამდენი უნდა მისცეს?

ერთ დუჟინ ცხვირის სახოცში 8 მანეთია მიცემული, სამი ცხვირის სახოცი როგორ ღირს?

ა ხ ს ნ ა: სამი ცხვირის სახოცი თორმეტი ცხვირის სახოცის მეოთხედია; მაშ თორმეტი რომ რვა მანეთად ღირდეს, მაშ მეოთხედი ნაწილი, ან სამი ცხვირსახოცი ორ მანეთად უნდა ღირდეს.

კიდევ შეადგენს და შეადგენს

$|\ |\ |\ |\ |\ |\ |\ |\ |\ |\ |\ +1=10+2=12$

$12=12\times 1$ (თორმეტია თორმეტჯერ ერთი)

$12=6\times 2$ (თორმეტი შესდგება 6 ჯერ ორისაგან).

$12=4\times 3$

$12=3\times 4$

$12\quad 2\times 6$

$1:12=12$ (ერთი თორმეტჯერ ცოტაა თორმეტზე, ან ერთი იმყოფება თორმეტში თორმეტჯერ).

$2:12=6$ (ორი იმყოფებოდა თორმეტში 6 ჯერ).

$3:12=4$

$4:12=3$

$6:12=2$

თორმეტი რამდენ თანასწორ ნაწილისგან არის შემდგარი? რამდენ უთანასწორო ნაწილისაგან არის შემდგარი თორმეტი? 12 შემდგინე სამ რიცხვისაგან, რომელთაგანაც თითოეული შემდეგი წინანდელზე ორით იყოს უმეტესი. თორმეტის ნახევარი რამდენჯერ მეტია სამზე? რა განსხვავებაა ათის ნახევარსა და თორმეტის ნახევარს შუა?

წ ე რ ი თ

12—1 =	12=11 +	1 : 12 =	12=12 ×	
12—2 =	10 +	2 : 12 =	6 ×	
12—3 =	9 +	3 : 12 =	3 ×	
12—4 =	8 +	4 : 12 =	2 ×	5 +
12—5 =	7 +	5 : 12 =	2 ×	
12—6 =	6 +	6 : 12 =	1 ×	7 +
12—7 =	5 +	7 : 12 =	1 ×	8 +
12—8 =	4 +	8 : 12 =	1 ×	9 +
12—9 =	3 +	9 : 12 =	1 ×	10 +
12—10 =	2 +	10 : 12 =	1 ×	11 +
12—11 =	1 +	11 : 12 =	1 ×	
12—12 =		12 : 12 =		

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го августа, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.